განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო პროგრამა

„ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებები“

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211360203
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხი
სწავლების ენა	ქართული/ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	-
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ცოტნე სამადაშვილი, კავკასიის მედიცინის ცენტრი,
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში შემუშავებულ იქნა 2008-2009 სასწავლო წლის განმავლობაში; სადოქტორო პროგრამის შექმნა გადაწყდა დაწესებულების მოსაზრებების გამო:

- შეეტანა წვლილი საქართველოში სამედიცინო განათლებაში აკადემიურ და კვლევით საქმიანობაში კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობისთვის;
- პროგრამას კურსდამთავრებულის სახით უნდა განემტკიცებინა საზოგადოების რწმენა, რომ ინსტიტუციის წარმატება მისი თითოეული წევრის ინიციატივასა და წარმატებულ საქმიანობას ეფუძვნება;
- შეექმნა და დაენერგა იმგვარი სტრუქტურირების პროგრამა, რომელიც განსხვავებული იქნებოდა საბჭოთა სტერეოტიპული ანალოგებისგან და ამავდროულად გაითვალისწინებდა პროგრამაში ჩართული აკადემიური შტატის მიზნებს, მოლოდინებსა და კვლევით ინტერესებს.

უნივერსიტეტი 2009 წლიდანვე ჩაერთო ბიომედიცინასა და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო განათლების ორგანიზაციის ევროპულ სისტემაში - ORPHEUS, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ასპექტების მართლზომიერების, შეფასების და განვითარების თვალსაზრისით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის შეფასების საფუძველზე განვითარდა პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ასპექტი. დღემდე დაცულია 14 დისერტაცია. დოქტორანტების უმრავლესობას ჰყავდათ საერთაშორისო თანახელმძღვანელები. ბოლო რამოდენიმე წელია დტსუ PhD სტუდენტები დაშვებულნი არიან რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსზე, რამაც გაზარდა წარდგენილი PhD პროექტების ექსპერტული შეფასებების რიცხვი.

საანგარიშო პერიოდში დაფუძვნდა ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია, გაიზარდა კვლევასა და კვლევითი აქტვობების დაფინანსება, შეიქმნა შიდა-საგრანტო ფონდი კვლევათა დაფინანსებისთვის, ძლიერდება საერთაშორისო თანამშრომლობა; აღნიშნული მნიშვნელოვანია პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის (აკრედიტირებულია 11.25.2011 წელს) მიზნისთვის თვითშეფასების პროცესის ფარგლებში მოხდა პროგრამული აკრედიტაციის ახალი სტანდარტების ანალიზი და შეფასებულ იქნა არსებული მდგომარეობა მოთხოვნებთან შესაბამისობის ხარისხის იდენტიფიცირების მიზნით, შეიქმნა თვითშეფასების პროცესის სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით განახორციელა რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი, აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების შესაბამისად მოამზადა თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 28/04/2020 MES 5 20 00351429 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 24 ივლისს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე); ცოტნე სამადაშვილი (წევრი); ანი ბილანიშვილი (წევრი) განახორციელა ვიზიტი თბილისში შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტი მიმდინარეობდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს და სადოქტორო კომიტეტის წევრებს, ასევე გაიმართა შეხვედრები PhD სტუდენტთა სამეცნიერო ხელმძღვანელებთან. მოხდა სადოქტორო ნაშრომების განხილვა, ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დღის ბოლოს დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები, სადოქტორო პროგრამის დანერგვა და კვლევებისათვის ოპტიმალური გარემოს შექმნის ხელშეწყობა ასახულია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - სტანდარტი 1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - სტანდარტი 2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - სტანდარტი 3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - სტანდარტი 4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - სტანდარტი 5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

2.2. დაზუსტდეს ჩანაწერი პროგრამის კვლევითი კომპონენტის შესახებ სადოქტორო პროგრამასა და დოქტორანტურის დებულებაში, რაც ასახავს პროგრამის ფარგლებში არსებულ რეალურ გარემოებებს და თავსებადია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მუხლი 46, მე-2 პუნქტის გ - ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოცემულობასთან.

2.1. დაზუსტდეს დიპლომირებული სტომატოლოგის და ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე პირთა პროგრამაზე დაშვების შესაძლებლობა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.2. პროფესიულ საჭიროებებსა და საზოგადოების სოციო-ეკონომიკურ განვითარებასთან პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შემდგომი ადაპტაცია; მით უფრო როდესაც ამ მიმართულებით დაწესებულებას აქვს საკუთარი ხედვა და შესაბამისი განაცხადი.

2.2. დაწესებულება პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარედ აღიარებს პროგრამის ნაწილის საზღვარგარეთ გავლის შესაძლებლობების შექმნას ყველა/ან პრაქტიკულად ყველა დოქტორანტისთვის, აღნიშნულის რეალობაში განხორციელების მაქსიმალური მხარდაჭერის გამოვლენა.

2.4. კვლევით სფეროში საქართველოს უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისთვის გეგმის შემუშავება;

3.1. სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის (სასტიპენდიო და ექსტრაკულუკულური აქტივობების ხელშემწყობი) ფონდის დაარსება, სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში შექმნილია და აქტიურად საქმიანობს სამედიცინო განათლების ცენტრი, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების წევრთა პროფესიულ ზრდასა და ჩართულობას თანამედროვე სამედიცინო განათლებაში მიმდინარე პროცესებში, როგორც უნივერსიტეტისთვის სამედიცინო განათლების დარგში სამეცნიერო კვლევების ჩატარების და დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მიმართულების სამეცნიერო კვლევის ბაზა.

დისერტაციის დაცვაზე წარდგენისთვის მოთხოვნილი პუბლიკაციების რიცხვი და სახეობა, ისევე, როგორც სადისერტაციო ნაშრომის მიმართ მოთხოვნები (მათ შორის შემავალი თავები, ინგლისურ ენაზე ავტორეფერატის არსებობის მოთხოვნა) შესაბამისია ევროპული სტანდარტისა.

სადისერტაციო შრომათა ვებ გვერდზე განთავსების, უნივერსიტეტის და ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩაბარების სავალდებულო წესის არსებობა;

უნივერსიტეტში არსებობს უცხოელი თანახელმძღვანელის პრაქტიკა, რაც დადებითი ფაქტორია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

შემუშავდა უნივერსიტეტში მეცნიერების სწავლების განვითარების შესახებ კონცეფცია; გაიხსნა ორი სარეზიდენტო პროგრამა („შინაგანი სნეულებანი“, „ოჯახის ექიმი“); დაფუძნდა სამედიცინო განათლების ცენტრი - ყველა დონეზე დტსუ-ში სწავლების გაუმჯობესების მიზნებისთვის.

საუნივერსიტეტო პრაქტიკაში დაინერგა სამეცნიერო კვლევების (და მისი ორგანიზების) დარგში საუკეთესო გამოცდილების გაზიარება „Organization of PhD Education in Biomedicine and Health Science in the European System” ფარგლებში დტსუ-ს ჩართულობით და მასში შემავალ ინსტიტუციებთან თანამშრომლობით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მისიაა – მედიცინის დარგში მეცნიერებაზე და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა. ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო პროგრამის მიზნები, შემდგომი დამოუკიდებელი აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების ინტეგრირებული სწავლება, ცალკეულ საკვლევ მიმართულებებში სიღრმისეული შემეცნების უზრუნველყოფით, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამა ითვალისწინებს საკუთარ სამეცნიერო შესაძლებლობებს და ცდილობს შეიტანოს წვლილი დარგისა და პროფესიული საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნების შესაბამისობა უზრუნველყოფილია სამედიცინო განათლებაში კვლევითი და აკადემიური საქმიანობის სტანდარტებთან მჭიდრო კავშირით. სადოქტორო პროგრამის მიზანი ფოკუსირებულია კვლევისა და სწავლა-სწავლების ხარისხსა და მის განვითარებაზე და ითვალისწინებს დასაქმების ბაზარზე ორიენტაციას. პროგრამის მიზნები მიღწევადია დაწესებულების სამოქმედო პრინციპებით, ასევე კვლევის, საკვლევი პოტენციალის და კვლევის გარემოს განვითარებისთვის ახალი სტრატეგიების ფარგლებში. უმაღლეს სამედიცინო სკოლა ”აიეტში” განათლების მესამე საფეხურის - სადოქტორო პროგრამის შემოღება თავიდანვე ითვალისწინებდა სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების შემუშავებას, რაც გულისხმობდა: - კარგად განსაზღვრულ სადოქტორო პროექტებს; - საკვლევი პროგრამებისთვის მაქსიმალურად პერსპექტიული კადრების მოზიდვას; - სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელობას; - ახალგაზრდა მკვლევარის კარიერულ ხელშეწყობას როგორც სადოქტორო პროექტის ინტეგრალურ ნაწილს. პროგრამა კურსდამთავრებულს უზრუნველყოფს კვალიფიცირებული და დამოუკიდებელი კვლევისთვის საჭირო კომპეტენციებით; აწვდის მას სასარგებლო ზოგად-ტრანსფერულ უნარებს, რასაც გამოიყენებს აკადემიური ან კლინიკური

კარიერისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა
- სადოქტორო პროგრამა
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევათა გაუმჯობესების სტრატეგია

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში შედგენილია საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით, მისი მიზანია საჭირო კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების შეძენა ბიომედიცინასა და სამკურნალო მეცნიერებებში შემდგომი დამოუკიდებელი აკადემიური და მეცნიერული აქტივობებისთვის. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტისათვის კვლევის კონკრეტულ სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნის მიწოდებას.

უნივერსიტეტი ჩართულია ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო სწავლების ევროპის ორგანიზაციის (ORPHEUS) მუშაობაში; პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და გასაუმჯობესებლად აკადემიური პერსონალი და დოქტორანტები თანამშრომლობენ აღნიშნულ ევროპულ ორგანიზაციასა და მის წევრ უცხოურ ინსტიტუციებთან, სწავლისა და სწავლების სისტემა სწავლის შედეგების მიღწევისას ითვალისწინებს შესასწავლი თემის არსს, სწავლასა და კვლევაში ეტაპობრივ პროგრესს და დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი სწავლის/კვლევის უნარების პროგრესის დემონსტრაციას.

PhD სტუდენტთა პროგრესი მოწმდება სადოქტორო კომიტეტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე, ფასდება სამეცნიერო შეხვედრებსა და სემინარებში მონაწილეობა, დოქტორანტის კონტრიბუცია; შესაბამის დონეზე კვლევის ჩატარება, სწავლების უნარი, აკადემიურობა და კრეატიულობა, დარგში წვლილის შეტანა: აბსტრაქტები, სტატიები, საპროექტო განაცხადების დაფინანსებისთვის მომზადება, ა. შ.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგები (დარგობრივი და ზოგად ტრანსფერული ცოდნა და უნარები) და ურთიერთთანამშრომლობითი პრაქტიკა მიმართული პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგების ადაპტაციაზე;

დარგობრივი კომპეტენციები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

A1. დარგის ფუნდამენტური თანამედროვე ცოდნა

- ✓ არსებული ცოდნის გაფართოება და მოდიფიცირება
- ✓ არჩეული საკვლევი მიმართულებით თეორიული ბაზისის სრული გაცნობიერება.

A2. საკვლევი თემის ძირითადი დარგობრივი ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის შეძენა.

A3. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ფაქტებზე დაფუძნებული სარწმუნო ინფორმაციისა და მონაცემთა მიღებისა და ანალიზისთვის:

- ✓ სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული შეფასების უნარი კარგად დასაბუთებული და შეუსაბამო დასკვნების დიფერენცირების მიზნით;
- ✓ სხვადასხვა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში ინფორმაციის მოპოვების კომპეტენცია;

A 4. კონტროლისა და სტატისტიკური დამუშავების შესაბამისი მეთოდების გამოყენების უნარი;

A5. მონაცემთა კრიტიკული ანალიზისა და შედეგების ინტერპრეტაციის უნარი.

A6. სამეცნიერო ძიების უნარი: ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ძიება, ლიტერატურის

შესწავლა და ფაქტობრივი მასალების შერჩევა.

A7. კვლევის დიზაინის დაგეგმვა და მისი შესრულება:

- ✓ ჩანაფიქრის ფორმირება;
- ✓ თემის არჩევა, მისი აქტუალობის და სიახლის დასაბუთება;
- ✓ კვლევის მიზნებისა და კონკრეტული ამოცანების განსაზღვრა;
- ✓ კვლევის ობიექტის და საგნის განსაზღვრა;
- ✓ სათანადო საკვლევი მეთოდების შერჩევა;
- ✓ სამუშაოს დაგეგმვა (კვლევის ემპირიული და თეორიული ეტაპების);
- ✓ აუცილებელი მასალების ძიება, შერჩევა, შეფასება;
- ✓ მონაცემთა დაჯგუფება და სისტემატიზაცია;
- ✓ ტექსტის წერა, შედეგების განხილვა/შეფასება;
- ✓ დასკვნების ფორმულირება.

A8. სამეცნიერო ნაშრომის პრეზენტაცია:

- ✓ ზეპირი და პოსტერული მოხსენების წარდგენის უნარი;
- ✓ მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტებისა და დაკვირვებებზე დაფუძვნებული სტატიების წერა.

A9. სწავლების უნარი.

მუდმივად მიმდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი, ხდება სწავლების შედეგების/კომპეტენციების, ასევე კურიკულუმის შინაარსისა და სტრუქტურის ანალიზი, კონკრეტული საკვლევი პროექტების, ასევე შესრულებული დისერტაციების შიდა და გარე ექსპერტიზა და მისი ანალიზი, შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა, სილაბუსები
- დოქტორანტთა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ანგარიშები
- ORPHEUS-ის საერთაშორისო სტანდარტების შემუშვებაში მონაწილეობის ანგარიშები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროფესიულ საჭიროებებსა და საზოგადოების სოციო-ეკონომიკურ განვითარებასთან პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შემდგომი ადაპტაცია; მით უფრო როდესაც ამ მიმართულებით დაწესებულებას აქვს საკუთარი ხედვა და შესაბამისი განაცხადი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- საკუთარ, ეროვნულ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძვნებით პროგრამის განვითარების საჭიროებათა განხილვის პრაქტიკის არსებობა და პროგრამის

განხორციელებაში (კვლევითი კომპონენტი) საერთაშორისო ექსპერტთა აქტიური ჩართულობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამაზე დაშვების პირობები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. დოქტორანტურაში მიღება წარმოებს ღია კონკურსის საფუძველზე სადოქტორო პროგრამაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის თანახმად.
ინფორმაცია დოქტორანტურაში მისაღები კონკურსის შესახებ თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ქვეყნდება პრესაში.
პროგრამა გამიზნულია დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე პირთათვის, თუმცა პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე პირთა დაშვების შესძლებლობაც, რასაც იზიარებს პროგრამის განვითარების ჯგუფის რიგი წარმომადგენელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი
- დოქტორანტურის დებულება
- სადისერტაციო საბჭოს დებულება
- აკადემიური საბჭოს დებულება
- სადოქტორო კომიტეტის დებულება
- http://dtmu.ge

რეკომენდაციები:

- დაზუსტდეს დიპლომირებული სტომატოლოგის და ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე პირთა პროგრამაზე დაშვების შესაძლებლობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა შედგენილია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პოლიტიკის მიხედვით. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შესაბამისი პროცედურებით: საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესებში ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოება (პედაგოგები და სტუდენტები), სხვადასხვა სტრუქტურები, სამიზნე ჯგუფები, ასევე სამეცნიერო განათლების ცენტრი (სგც), ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ორგანოები.

უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება თუნინგის პროექტის კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელების და გადაცემის მოდელს („თუნინგის ხარისხის განვითარების ციკლი“) და აღწერს სასწავლო პროგრამის შემუშავების დაგეგმვის სახელმძღვანელო პრინციპებს; განმარტავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა პროგრამის პროფილის აღწერა, პროგრამის მიზნების განსაზღვრა და სწავლის მოსალოდნელი შედეგების აღწერა ცოდნის, ზოგადი და დარგობრივ-სპეციფიური კომპონენტებით; აკადემიური შინაარსის (თემები) და სტრუქტურის (მოდულები და კრედიტები) ფორმირება და აღწერა; შეთანხმებული შედეგების მიღწევაზე გამიზნული საგანმანათლებლო ერთეულებისა და საქმიანობის სახეობების განსაზღვრა; შედეგების შესაბამისი სწავლება, სწავლის და შეფასების მეთოდების დადგენა. მეთოდოლოგია ასევე განიხილავს კურიკულუმის მოდერნიზაციისთვის თანაბრად მნიშვნელოვან ორ საკითხს: მოდერნიზაციისთვის პროცესის მომზადებას და განსაზღვრავს რას გულისხმობს კურიკულუმის ცვლილება.

პროგრამა ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომას და მოიცავს ისეთ სამეცნიერო პრობლემატიკას, როგორიცაა: ნორმისა და პათოლოგიის სტრუქტურული და ფუნქციური ბაზისი, დაავადებათა მართვის სტრატეგიის განმსაზღვრელი ფაქტორები

და უმაღლესი სამედიცინო განათლების პროფესიონალიზაცია. შესაბამისად, პროგრამა ხორციელდება 3 მიმართულებით:

- ნორმალური და პათოლოგიური პროცესების სტრუქტურული, მოლეკულური, ბიოლოგიური და ფუნქციური საფუძვლები, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ორ ქვემიმართულებაზე:
  - ბიომარკერების თანამედროვე გამოყენება და მომავალი პერსპექტივები.
  - ადამიანის ორგანიზმის მოლეკულური და უჯრედოვანი რეაქციები პათოლოგიურ პროცესებზე.
- დაავადებათა ეტიოლოგიის, კლინიკური მიმდინარეობისა და მკურნალობის, აგრეთვე, პრევენციის, სკრინინგისა და ეპიდემიოლოგიის განმსაზღვრელი ფაქტორები.
- სამედიცინო განათლების ნოვატორული განვითარების სამეცნიერო საფუძვლები.

პროგრამა ორიენტირებულია სამედიცინო პრობლემატიკის სრულ სპექტრზე, უმაღლესი განათლების აქტუალური საკითხების ჩათვლით. საკვლევი მიმართულებები მოიცავს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა: კიბო, დიაბეტი, კარდიოვასკულური, ინფექციური, იმუნოლოგიური და სხვა დაავადებები; დიპლომამდელი სამედიცინო განათლებაში პროფესიონალიზმის სწავლების ინტეგარაცია.

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება დოქტორანტის კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით. დოქტორანტი, ძირითად სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადოქტორო კომიტეტთან შეთანხმებით, ადგენს ზოგადი სასწავლო კურსების კრედიტების შესრულების გეგმას.

<u>საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი, პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო და სასწავლო კომპონენტს, მათ შორის სასწავლო კომპონენტი 30 კრედიტის მოცულობით. უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების თანახმად დოქტორანტურაში სწავლის ვადა განისაზღვრება 3 - 6 წლით.</u>

მიუხედავად იმისა, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობთ ნაწილში ადგილი აქვს ჩანაწერს: „პროგრამის მოცულობა შეადგენს 180 კრედიტს, <u>რომლიდანაც 150 კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს,</u> ხოლო 30 - სასწავლო კომპონენტს“, გარკვეული რაოდენობა კრედიტებისა განსაზღვრულია მხოლოდ სასწავლო კომპონენტის შემადგენელი კურსებისათვის რაც ჯამში შეადგენს 30 კრედიტს, და არა სამეცნიერო კომპონენტისათვის, <u>შესაბამისად, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მუხლი 46, მე-2პუნქტის გ - ქვეპუნქტით განსაზღვრული მოცემულობა დარღვეული არ არის.</u>

<u>კვლევით კომპონენტში სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს:</u>

- სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სხვა მკვლევარებთან აქტიური ურთიერთთანამშრომლობით შესრულებულ კვლევის დამოუკიდებელ ნაწილს.
- აქტიურ საკვლევ გარემოში (ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე) მონაწილეობას.

- დისერტაციის (სამეცნიერო ნაშრომის) შესრულებას.
- დისერტაციის ძირითადი შედეგების ამსახველ მინიმუმ ხუთ სამეცნიერო პუბლიკაციას, აქედან მინიმუმ 3 სტატიას რეფერირებად გამოცემებში.
- დისერტაციის დაცვას.

<u>სასწავლო კომპონენტში სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს:</u>

- დისერტაციაზე სამუშაოდ აუცილებელ აკადემიურ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას და დოქტორანტის მიერ საკვლევი სფეროს ღრმად დაუფლებას.
- სასწავლო კომპონენტის 30 კრედიტიდან 15 ეთმობა თეორიული სასწავლო კურსების ზოგად მოდულს, ხოლო დანარჩენი 15 - არჩევით დარგობრივ სასწავლო კურსებს/მოდულებს.

ზოგადი სასწავლო კურსებია:

- ✓ ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა - 5 კრედიტი;
- ✓ სამეცნიერო კვლევის პროცესი და ტექნოლოგიები - 2 კრედიტი;
- ✓ ბიოეთიკა - 2 კრედიტი;
- ✓ პედაგოგიკა - 3 კრედიტი;
- ✓ ფსიქოლოგია - 3 კრედიტი;

საკუთარი კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით და ძირითად სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით დოქტორანტი გეგმავს დარგობრივი სასწავლო კურსების კრედიტების (ჯამში 15 კრედიტი) შესრულებას შემდეგი არჩევანის საფუძველზე:

დოქტორანტურის სამეცნიერო კვლევის მიმართულების მიხედვით, რაც ძირითადად გულისხმობს აქტუალურ სამეცნიერო საკითხებზე გამართულ სემინარებში მონაწილეობას;

- დოქტორანტის სადისერტაციო კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც ემსახურება მის საკვლევ პროექტში დაგეგმილი კვლევის თანამედროვე მეთოდების სიღრმისეულ შესწავლას (მაგ: ბიოქიმიური, იმუნოლოგიური, ჰისტოქიმიური და ა. შ.);

- დარგობრივი მიმართულების (მაგ: კარდიოლოგია, მეანობა და ა.შ,) მიხედვით, რაც მოიაზრებს სამეცნიერო თვალსაზრისით აქტუალურ საკითხებზე სემინარულ მუშაობას (ამ კურსის ფარგლებში სავალდებულოა საკვლევი პროექტის შინაარსიდან გამომდინარე ძირითადი ხელმძღვანელის რეკომენდაციით სადოქტორო კომიტეტის მიერ წინდაწინ დადგენილი დარგობრივი კრედიტების შესრულება, თუმცა შესაძლებელია, აგრეთვე, მომიჯნავე ან სხვა მიმართულებით დამატებითი კრედიტების გავლაც), დიპლომამდელი განათლების სასწავლო კურსის სწავლებაში მონაწილეობას და სტუდენტთა სამეცნიერო სასწავლო ჯგუფის ტუტორობას.

სამეცნიერო კომპონენტის გეგმა დგება ძირითადი სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობით და იგი მოიცავს:

- კალენდარული გეგმის მიხედვით გაწერილი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო - საკვლევი მასალის შეგროვებას, საკვლევი მეთოდის მზადებას, მონაცემთა შეკრებას, ეტაპობრივ დამუშავებას და სხვ.;

- სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებას და მათ რეფერატულ მიმოხილვას

(რაოდენობის მითითებით), რეფერატების სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ შემოწმებას და შეფასებას;

- საუნივერსიტეტო, ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას და სადისერტაციო თემაზე სამეცნიერო მოხსენებების გაკეთებას;
- დისერტაციის და ავტორეფერატის თავების შედგენა, გაფორმება და დაცვა.

ამგვარად, პროგრამა იძლევა სტუდენტის სამეცნიერო ჰორიზონტის გაფართოების, ინდივიდუალური კვლევითი კომპეტენციის გაძლიერების და სამეცნიერო საზოგადოებაში ჩართულობის ხელშეწყობას, კერძოდ

- ✓ ზოგადი განათლება:
  - საკვლევ სფეროსთან კავშირში მქონე ცოდნის გაფართოების საშუალებას
  - სხვადასხვა საკვლევი მიმართულების წარდგენის საშუალებას მონაწილე ფაკულტეტის მხრიდან.
- ✓ ინდივიდუალური განათლება:
  ითვალისწინებს ახალგაზრდა მეცნიერის სპეციფიურ საგანმანათლებლო საჭიროებებს. თეორიული და პრაქტიკული ტრენინგი და ხელმძღვანელობა კავშირშია ინდივიდუალურ კვლევით (საკვლევ) პროექტთან.

- ✓ საერთაშორისო ურთიერთობები:
  ხელს უწყობს უცხოელი თანახელმძღვანელის არსებობას, საზღვარგარეთ (1 კვირიდან რამოდენიმე თვემდე) ლაბორატორიებთან კოლაბორაციის შესაძლებლობას (იდენტიფიცირდება სტუდენტის მიერ და/ან მისი ხელმძღვანელის) მიერ; აკადემიურად და ადმინისტრაციულად ხელშეწყობილს უნივერსიტეტის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ○ სადოქტორო პროგრამა
- ○ დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პოლიტიკა
- ○ დოქტორანტურის დებულება
- ○ ინდივიდუალური მუშაობის გეგმა

რეკომენდაციები:

- დაზუსტდეს ჩანაწერი პროგრამის კვლევითი კომპონენტის შესახებ სადოქტორო პროგრამასა და დოქტორანტურის დებულებაში, რაც ასახავს პროგრამის ფარგლებში არსებულ რეალურ გარემოებებს და თავსებადია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მუხლი 46, მე-2 პუნქტის გ - ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოცემულობასთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ○ დაწესებულება პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარედ აღიარებს პროგრამის ნაწილის საზღვარგარეთ გავლის შესაძლებლობების შექმნას ყველა/ან პრაქტიკულად ყველა დოქტორანტისთვის, აღნიშნულის რეალობაში განხორციელების მაქსიმალური მხარდაჭერის გამოვლენა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტი მიზნად ისახავს, კურსდამთავრებულთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და კომპეტენციების მიღწევას, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ მომავალ დასაქმებას. კომპეტენციები სასწავლო გეგმის კონტექსტში აღწერილია სწავლის შედეგებით, რომლებზეც შესაძლებელია დაკვირვებისა და შეფასების განხორციელება. სასწავლო გეგმის დაგეგმვის პროცესში ჩართულნი არიან დოქტორანტები, მათი ხელმძღვანელები.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- თეორიული სწავლება (ზოგადი მოდულები, სტრუქტურირებული სამეცნიერო (დარგობრივი) მოდულები სამეცნიერო კვლევის მიმართულების მიხედვით;

- სადისერტაციო კვლევა, რომელშიც აღინიშნება მიმდინარეობის შემდეგი ეტაპები: ინდივიდუალურად გაწერილი პრაქტიკული სამუშაოს გეგმა;

სადისერტაციო თემის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურის გეგმიური ძიება,სამეცნიერო კონფერენციებზე კვლევის შედეგების ეტაპობრივი პრეზენტაციის გეგმა; პუბლიკაციების გამოქვეყნების საორიენტაციო კალენდარული გეგმა;დისერტაციის გაფორმება და დაცვისთვის მზადება.

- აკადემიური აქტივობა (დიპლომამდელი სამედიცინო განათლების გარკვეული სასწავლო კურსის სწავლებაში მონაწილეობა; სტუდენტთა სამეცნიერო წრის ტუტორობა; სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელობა.

- სამედიცინო განათლების სფეროში კვლევითი ნაშრომის შესრულება

პროგრამაში სწავლების ფორმატი ითვალისწინებს: სავალდებულო თეორიულ და არჩევით კურსებს, სემინარებს; ლაბორატორიულ როტაციას; დამოუკიდებელ კვლევას; დიპლომამდელ სწავლებაში მონაწილეობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები
- დოქტორანტურის დებულება
- დოტორანტის ინდივიდუალური მუშაობის გეგმა და შესრულების ანგარიშები
- დისერტაციები, გამოქვეყნებული შრომები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- ✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. სამეცნიერო კვლევით კომპონენტზე მუშაობის პარალელურად დოქტორანტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა სამეცნიერო სასწავლო ჯგუფის ტუტორობაში და სტუდენტთა სამეცნიერო საკვლევი პროექტის განხორციელებაში/ხელმძღვანელობაში. უნივერსიტეტი ცდილობს დოქტორანტთა კომპეტენციების განვითარების მიზნით გამოიყენოს ORPHEUS ის (Organization of PhD Education in Biomedicine and Health Science in the European System) წევრობითა და სხვა საერთაშორისო ქსელებში ჩართულობით მიცემული შესაძლებლობები: - მონაწილეობა C-COMEND (ერაზმუს+-ის პროექტი ევროპელი დოქტორანტებისთვის) პროექტით გათვალისწინებულ ტრენინგში; დტსუ 2 დოქტორანტი მონაწილეობდა გამოყენებითი (Translation Medicine) მედიცინის ტრენინგში მანჩესტერში, - დტსუ-ს 3 სტუდენტი მონაწილეობდა აშშ-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში აშშ ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ ვორქშოფებში; - გაიზარდა უცხოელი ექსპერტების თანამონაწილეობა დოქტორანტთა მომზადებაში - ყოველწლიურად დოქტორანტები მონაწილეობენ (International Medical Postgraduate Conferences, Hradec Kralove), ა. შ. ასევე ორფეუსის კონფერენციებზე - დტსუ-ს ერაზმუს + ფარგლებში განხორციელებულ პროექტებში (PACT, Integrity) ჩართვის შესაძლებლობა. დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევითი უნარების გამომუშავება ფასდება დისერტაციით, დისერტაციის დაცვაზე წარდგენისთვის კი მოთხოვნილი პუბლიკაციების რიცხვი და სახეობა, ისევე როგორც სადისერტაციო ნაშრომის მიმართ მოთხოვნები, (მათ შორის შემავალი თავები, ინგლისურ ენაზე ავტორეფერატის არსებობის მოთხოვნა) შესაბამისია ევროპული სტანდარტისა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს

შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კვლევით სფეროში საქართველოს უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისთვის გეგმის შემუშავება;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- დისერტაციის დაცვაზე წარდგენისთვის მოთხოვნილი პუბლიკაციების რიცხვი და სახეობა, ისევე როგორც სადისერტაციო ნაშრომის მიმართ მოთხოვნები, (მათ შორის შემავალი თავები, ინგლისურ ენაზე ავტორეფერატის არსებობის მოთხოვნა) შესაბამისია ევროპული სტანდარტისა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამაში პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლა/სწავლების მეთოდები, რომელიც მიიღწევა და ვლინდება აკადემიურ ჯგუფებში მუშაობისას, აგრეთვე, საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობით.

სწავლა - სწავლების მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია/სემინარები დარგში ცოდნისა და

უნარების (A1, A2, A3, A4, A5) განსავითარებლად;
ლაბორატორიული სწავლება და სამეცნიერო პროექტზე მუშაობა საგანში ცოდნისა და უნარების, აგრეთვე, საბაზისო აკადემიური უნარებისა და პერსონალური ტრანსფერული უნარების (A1, A2, A3, A4, A5, B1, B2, C1, C2, C3, C4) განსავითარებლად;
